ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**


განკარგულება:**გ-93. 9324033001**

თარიღი:**02/02/2024**


**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ №14-ი განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ №14-ი განკარგულების დანართში და საპივატიზაციო ობიექტების ნუსხაში დაემატოს შემდეგი ქონება:

1.1 ქალაქ ლაგოდეხში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 7545 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა (ს/კ 54.01.54.584);

1.2 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფონაში მდებარე 6050 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სახნავი) (ს/კ 54.11.52.520);

1.3 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიაურში მდებარე 383 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა (ს/კ 54.06.57.138);

1.4 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწიმში მდებარე 17761კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 54.02.53.622);

1.5 ერთი ერთეული მაღალი განმავლობის ავტომანქანა UAZ 31514, სახელმწიფო NFM980MM, გამოშვების წელი 2006.

**მუხლი 2**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.

**მუხლი 3**

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4**

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში,

კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი